ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 16/2019
CPV 79952000 - ღონისძიებების ორგანიზება

ქ. თბილისი 13 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N84 საჯარო სკოლა"(შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ბაციკაძის სახით და მეორე მხრივ, **ი/მ თამარ სოხაძე** (პ/მ41001002614)" (შემდგომში „მიმწოდებელი"),წარმომადგენელი **თამარ** სოხაძე ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე,, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. **ხელშეკრულების საგანია**: საკუთარი შემოსავლებიდან ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია
ღონისძიებების ორგანიზება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 445ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის (მათ შორის საშემოსავლო და ა.შ.) ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, წურწუმიას ქუჩა N17, ხოლო მომსახურების მიწოდების თარიღია არაუგვიანეს 16 სექტემბრისა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძე

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება;
7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1. უზრუნველყოს მომსახურების შესრულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;
7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - 2019 წლის 30 ნოემბრამდე.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რომლის მიზანია მისიმიწოდებული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში მითითებული პირი.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

11.4. გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

12.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

12.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის N84 საჯარო	ი/მ თამარ სოხაძე
ს.კ 206031667 მის.: ქ. თბილისი წურწუმიას ქუჩა N17	პ/მ 41001002614 ტელ:595 554 222 ს.ს. თიბისი ბანკის ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE33TB7013036010100061
მანანა ბაციკაძე ---------- ბ.ა (ხელმოწერა)	თამარ სოხაძე ---------- ბ.ს. (ხელმოწერა)